ჯაბიევის საქმის არაეფექტური გამოძიება, ადვოკატის ყოლის უფლების შეზღუდვა და რეპრესიები ცხინვალში

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შსს მინისტრის ავტომობილზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებული 30 წლის ინალ ჯაბიევი, რამდენიმე დღიანი დაკითხვის შემდეგ, 2020 წლის 28 აგვისტოს ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში „გაურკვეველ ვითარებაში“ გარდაიცვალა. საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ ინალ ჯაბიევი სავარაუდოდ წამების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. ამავდროულად, მისმა საქმემ სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში არსებული სერიოზული სისტემური პრობლემები გამოააშკარავა. ჯაბიევის საქმეში სახეზეა ადამიანის უფლებათა დარღვევების მთელი ჯაჭვი: სიცოცხლის უფლების ხელყოფა; წამება; საქმის სამართლიანი განხილვის უფლების წართმევა; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა; ადვოკატის ყოლის უფლების შეზღუდვა და სხვ.

არაეფექტური გამოძიება

2020 წლის 17 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის იგორ ნანიევის ავტომობილს ესროლეს. 23 აგვისტოს, თავდასხმაში მონაწილეობის ბრალდებით ინალ ჯაბიევი, ნიკოლაი ცხოვრებოვი და გერსან ყულუმბეგოვი დააკავეს. 28 აგვისტოს ინალ ჯაბიევის ცხედარი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიტანეს. ნიკოლაი ცხოვრებოვი ცხინვალის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში ისეთივე სისხლჩაქცევებით მოხვდა, როგორიც ინალ ჯაბიევს ჰქონდა. გავცელებული ინფორმაციით, გამომძიებლები დაკავებულებისგან აღიარებით ჩვენებას მოითხოვდნენ. უცნობია, სად იმყოფობოდა დაკავებიდან გარდაცვალებამდე ინალ ჯაბიევი.[1]

2020 წლის 28 აგვისტოს სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოებს და ინფორმაციას, რომ ადგილობრივი დე ფაქტო „მილიციის“ თანამშრომლებმა ჯაბიევი აწამეს და მოკლეს, ცხინვალში საპროტესტო აქციები მოჰყვა, რომელიც შემდგომ მასშტაბურ საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა.[2] საქმეზე გამოძიება რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით დაიწყო, რომელიც თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. წინასწარი გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე დღეში დე ფაქტო შსს-ს შვიდ თანამშრომელს ბრალი წაუყენეს ჯაბიევის გარდაცვალების საქმეში. გარდაცვლილის გვამის პირველ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული იყო, თითქოს, ინალ ჯაბიევი ნარკოტიკული ნივთიერების შეწყვეტის, ეგრეთწოდებული „ლომკის“ გამო, გულის შეტევით გარდაიცვალა. ცხედრის, არასანდო სამედიცინო დასკვნა, რუსეთის ფედერაციის მთავარ სასამართლო მედიცინისა და ექპერტიზის №111 ცენტრში, მოსკოვში, ჩატარდა.[3]

---

[1]„А почему никто не задается вопросом, где Инал Джабиев был с 23 по 28 число?“,11.05.2021, ხელმისაწვდომია https://www.ekhokavkaza.com/a/31250032.html

[2]Дело о смерти Инала Джабиева – «результат российской экспертизы предсказуемо шокирует, 18.11.2020, ხელმისაწვდომია https://www.ekhokavkaza.com/a/30956155.html

[3] რუსეთის ფედერაციის მთავარი სასამართლო მედიცინისა და ექპერტიზის №111 ცენტრი, 31.05.2021, ხელმისაწვდომია http://www.rc-sme.ru/Institutions/detail.php?ELEMENT_ID=254

გარდაცვლილის ოჯახი მიიჩნევს, რომ საქმის გამოძიება ჭიანურდება და არაეფექტურად მიმდინარეობს; არ ხდება ფაქტების შესწავლა და მტკიცებულებების გამოკვლევა. ოჯახის მოთხოვნაა, სასამართლომ სამართლიანად და საჯაროდ განიხილოს ინალის გარდაცვალების საქმე.[4]

რეპრესიები

ინალ ჯაბიევის საქმეზე მასშტაბური პროტესტის დაწყების შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება იმ ადამიანებზე ზეწოლა და დევნა, ვინც რაიმე ფორმით მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში ან მხარს უჭერდა ჯაბიევის ოჯახს.

მაგალითად, 2020 წლის 28 აგვისტოს ახალგორის „მილიციის“ უფროსმა ცხინვალისკენ მიმავალი გზა გადაკეტა, რომ რაიონის მოსახლეობისთვის არ ჰქონოდათ ცხინვალში საპროტესტო აქციებში მონაწილეობის და გარდაცვლილი ინალ ჯაბიევის დაკრძალვაზე დასწრების საშუალება. სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფო დაწესებულებების“ თანამშრომლებს სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით გააფრთხილეს, არ მიეღოთ მონაწილეობა საპროტესტო აქციებში. [5] ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე სცემეს ჟურნალისტსა და სამოქალაქო აქტივისტს თემურ ცხურბათს. [6] სამართალდამცველებმა საპროტეტო აქციაზე კარვის გაშლის და ცეცხლის დანთების უფლება (გათბობის მიზნით) არ მისცეს აქციის მონაწილეებს.

ინალ ჯაბიევის გარდაცვალების საქმეზე, მოწმის სტატუსით, დაიკითხნენ მასთან ერთად დაკავებული ნიკოლაი ცხოვრებოვი და გერსან კულუმბეგოვი. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დაკითხვაზე მათ ე.წ. მილიციის თანამშრომელმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა. მომხდარ ფაქტზე გამოძიება ფორმალურად დაიწყო. ამ შემთხვევაში, მათ მიმართ ადგილი ქონდა განმეორებით წამებას.

ადგილობრივი ოპოზიციის აზრით, ვინაიდან ჯაბიევის გარდაცვალებაში ბრალდებულები სამართალდამცველები იყვნენ, საქმე გამოსაძიებლად დე ფაქტო სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტს უნდა გადასცემოდა;[7]თუმცა, საქმეს კვლავ პროკურატურა იძიებს. ჯაბიევის საქმეში აქტიურობამ რეპრესიების სამიზნედ პოლიტიკური ოპოზიციაც აქცია: როგორც კი დე ფაქტო პარლამენტის ოპოზიციურმა პარტიებმა საქმის სამართლიანი გამოძიება და გენერალური პროკურორის გადაყენება მოითხოვეს, პროკურატურამ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა. შედეგად, ე.წ. პარლამენტის მუშაობაში,

---

[4]„Две женщины против систем. Как убитые в Цхинвале женщина и мать Инала Джабиева борется с произволом“, 27.01.2021, ხელმისაწვდომია https://mbk-news.appspot.com/suzhet/dve-zhenshhiny-protiv-sistemy/

[5] „Жителей Южной Осетии призвали отказаться от участия в несанкционированных митингах,” 04.12.2020,ხელმისაწვდომია https://www.ekhokavkaza.com/a/30983713.html,

[6]რადიო თავისუფლება, „ცხინვალში სამოქალაქო აქტივისტს, თემურ ცხურბათს სცემეს“, 31.08.2020, ხელმისაწვდომიაhttps://www.radiotavisupleba.ge/a/30813394.html

[7]„Больше чем протест. Дело Джабиева как точка невозврата,”17.12.2020, ხელმისაწვდომია https://www.ekhokavkaza.com/a/31005786.html

რომელიც სულ 34 წევრისგან შედგება, მონაწილეობას არ იღებდა 14 დეპუტატი, რამაც ხანგრძლივი სახელისუფლებო კრიზისი გამოიწვია. დეპუტატებისთვის საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნის მიზნით პარლამენტს ცხინვალის ე.წ. პროკურატურამაც მიმართა. თუმცა, პარლამენტმა, მათ შორის, მმართველი პარტიის „ერთიანი ოსეთის“ წევრებმა, პროკურატურის შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირა. მიუხედავად ამისა, სპიკერმა ბოიკოტის გამო ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის ხელფასის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

ზეწოლა ხორციელდებოდა ჯაბიევის ოჯახის წევრებზეც. დე ფაქტო პროკურატურამ გარდაცვლილის ძმის აცამაზ ჯაბიევის წინააღმდეგ აქციაზე და პროკურატურაში უცენზურო ანტისახელმწიფოებრივი გამონათქვამების გამო, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საჯარო წყაროებში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ვინაიდან ჯაბიევი მიიმალა, ის პროკურატურამ ძებნილთა სიაში შეიყვანა. [8] ინალ ჯაბიევის დედა მაია ჯაბიევა, საავადმყოფოში გადაიყვანეს დე ფაქტო პრეზიდენტთან ბიბილოვთან შეხვედრის შემდეგ.[9]

ადვოკატის ყოლის უფლება

ინალ ჯაბიევი დაკავებისას არ იყო უზრუნველყოფილი ადვოკატით. მის მეუღლეს, როგორც მის უფლებამონაცვლეს/დაზარალებულს, დღემდე ეზღუდება დაცვის უფლება. ცხინვალში, სადაც ადამიანის უფლების დაცვის სტანდარტი უკიდურესად დაბალია, ადვოკატის ყოლა ერთადერთი სამართლებრივი საშუალებაა საკუთარი ინტერესების დასაცავად. თუმცა, ჯაბიევის ოჯახს მათ მიერ არჩეულ ადვოკატზე ხელმისაწვდომობას დღემდე უზღუდავენ.

ცხინვალში ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულია 51 ადგილობრივი ადვოკატი, მათგან 20-ს შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს ადვოკატის სტატუსი. ადვოკატთა რეესტრში ასევე რეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციაში საქმიანობის უფლების მქონე 47 ადვოკატი. დე ფაქტო რესპუბლიკის კანონის მიხედვით, უცხო ქვეყნის იურისტებმა ადგილზე სამუშაოდ აკრედიტაცია დე ფაქტო იუსტიციის სამინისტროში უნდა გაიარონ. როგორც ბევრ სხვა სფეროში, ადვოკატის სტატუსის მისაღებადაც ხშირია კორუფცია.

რეგიონში ადგილობრივ ადვოკატებს ძირითადად მხოლოდ სამოქალაქო ან მარტივი სისხლის სამართლის საქმეების დროს მიმართავენ. თუმცა, როდესაც საქმე პოლიტიკურად სენსიტიურია, ადგილობრივები უპირატესობას რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ ადვოკატებს ანიჭებენ. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ადგილობრივი ადვოკატების დაბალი პროფესიონალიზმი და მათ მიმართ უნდობლობაა. ჯაბიევების ოჯახს ჰყავს როგორც ადგილობრვი, ასევე, რუსეთიდან მოწვეული ადვოკატი, რომელიც ორი თვის წინ დაიქირავეს, თუმცა მას ცხინვალი საადვოკატო საქმიანობის აკრედიტაციას, ამ ეტაპზე არ აძლევს.

---

[8] info9,„ცხინვალის ე.წ პროკურატურამ აცამაზ ჯაბიევი ძებნილთა სიაში შეიყვანა,“ 07.12.2020, ხელმისაწვდომია https://bit.ly/2RADwKS

[9] რადიო თავისუფლება, „ცხინვალში მოკლული ინალ ჯაბიევის დედა საავადმყოფოშია გადაყვანილი“ 23.02.2021, ხელმისაწვდომია https://bit.ly/345zCMw,

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, რუსეთიდან მოწვეულ ადვოკატს ცხინვალიდან ემუქრებიან და ადგილზე ჩასვლას უკრძალავენ. იგი უკვე ორი თვეა, აკრედიტაციის მიღებას ელოდება, მაგრამ პროცესი ჭიანურდება. მიუხედავად მუქარისა, ადვოკატი აცხადებს, რომ საქმეზე მუშაობას აგრძელებს. როგორც წესი, საადვოკატო საქმიანობის ნებართვის მიღების ვადა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ერთი თვეა. ის, რომ ჯაბიევის საქმეში ბრალდებულ სამართალდამცველებს უკვე ჰყავთ ადვოკატი რუსეთიდან, რომელსაც აკრედიტაციის მიღებაზე პრობლემა არ შექმნია, კიდევ ერთხელ მიანიშნებს საქმისადმი შერჩევით მიდგომაზე.

2021 წლის 6 მარტს დე ფაქტო რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ინალ ჯაბიევის საქმის წინასწარი გამოძიება დასრულებულია, რის შემდეგაც ბრალდებულებმა და დაზარალებულმა მხარემ საქმის მასალების გაცნობა დაიწყეს. ჯაბიევის რუსეთში მყოფი ადვოკატი საქმის მასალებს, ოჯახის დახმარებით, დისტანციურად გაეცნო.

აღნიშნული გარემოებები ნათლად მიუთითებენ იმ უმძიმეს პრობლემებზე, რომელიც ცხინვალში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებობს. ამის მიუხედავად, საკითხის მიმართ აშკარაა როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების დეფიციტი.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი

მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს - დაინტერესდნენ ჯაბიევის საქმის გამოძიების მიმდინარეობით და გააქტიურონ მუშაობა სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით;

მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას -ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების უფლებების დაცვა და ადვოკატირება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად აქციოს.